

ავტობიოგრაფია

მე, გიორგი მიქაუტაძე დავიბადე 1982 წლის 6 სექტემბერს, თბილისში.

1998 წლამდე ვსწავლობდი თბილისის პირველ ექსპერიმენტულ საჯარო სკოლაში, ხოლო 1999 წელს დავამთავრე თბილისის იპოკრატე შევარდნაძის სახელობის მრავალდარგობრივი ლიცეუმი.

2004 წლის ოქტომბერში დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2006 წლის თებერვალიდან მარტამდე ვმუშაობდი გენერალური პროკურატურის სტაჟიორად, ხოლო მარტიდან ოქტომბრამდე, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის სტაჟიორად.

2006 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის ოქტომბრამდე ვმუშაობდი თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორად.

2010 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად.

2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2012 წლის იანვრიდან ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.


2015 წლის დეკემბრიდან 2017 წლის მარტამდე ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, ხოლო 2016 წლის მარტიდან 2017 წლის ივნისამდე ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

2017 წლის აპრილიდან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, ხოლო 2017 წლის ივნისიდან - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად.

ვფლობ ინგლისურ და რუსულ ენებს.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

გიორგი მიქაუტაძე



30.05.2019